

ცრიონა

მთავარ კომიტეტის ოფისი

№ 410 საშუალო, თბილისი 6 1923 წ.

უკვლადი სახელი

ზანი 10,000

გაზეთი „საბჭო“ ღირს

თვიურად 200,000 მან.

ცალკე ნომერი ყველგან 10,000 მან.
რედაქცია და კანტორა: ტფილისი, სახალისი ქუჩა, № 6
ტელეფონი 10-84 — ფოსტის ყუთი, № 190.

განცხადებით

1 გვ. 60,000 მან. ნომარული

4 „ 30,000 „

სამხალისი განცხადება

1 გვ. 800,000 მან.

4 „ 500,000 „

ყოველდღიური საბოლოო სალონური გამეფი

„საბჭო“

1923 წლის იანვრის პირველიდან ელჩობა ხელის
მომართვის დაგეგმვით და სახლში მითანით

თვიურად 200,000 მან.

ცალკე ნომრის ფასი 1923 წლის იანვრის პირველი-
დან ყველგან 10,000 მან.

გაზეთს ჰყავს საკუთარი კორესპონდენტები: პეტროგრადში,
მოსკოვში და საქართველოს მნიშვნელოვან დაბა-ქალაქებში.
ხელის მოწერა მიიღება ყოველდღე, გარდა უქმეებისა გაზეთის
კანტორაში: ტფილისი, სახალისი ქ. № 6. ტელეფონი—10-84
ფოსტის ყუთი № 190.

საღამო განათლების მუშაკებს

დღეს საქართველოს დედა ქალაქში იხსნება განათლების მუშაკთა კავშირის მესამე კონფერენცია. ჩვენი ქვეყნის მიუხედავად, რომელიც მთლიანად გამოცხადებულია წარმომადგენლები და ერთ-ერთი გაუზიარებელი თავიანთი პირდაპირი. ლაპარაკი ზედმეტად იმასზე, თუ რა გაჭირვება ზადიდანა საქართველოს მასწავლებლობა და რა დიდი გმირობა გამოიჩინა, რომ მძიმე კრიზისის დროს თავის მოწოდებას არ უღალატა და სკოლა არ მიატოვა. ეს უდავო ფაქტი ბევრს ლაპარაკებს ჩვენი მასწავლებლობის მაღალი დონის შესახებ. ის ხალხის შვილია და მუდამ ხალხთან იქნება. ამ იმედით ვესალმებით ჩვენ დღევანდელ ყრილობას და დარწმუნებული ვართ, რომ საქართველოს მასწავლებლობა პირნათლად შეასრულებს თავის დიდ მოვალეობას ახალი საქართველოს წინაშე.

მაგრამ ამისთვის განათლების მუშაკებს უნდა მიეცეს სრული შესაძლებლობა ნაყოფიერი მუშაობის საწარმოებლად საბჭოთა საქართველოს უმადლესმა ორგანომ, ცენტრ. აღმასკომის მესამე სესიამ უკვე გამოიტანა საამისო დადგენილება; განათლების საქმე ცნობილი პირველ ხარისხიდან საქმედ და სათანადო ზომების მიღება დაეკისრა, როგორც სახალხო კომისარია საბჭოს, ისე განათლების სახალხო კომისარიალს, რომელიც უსახსრობის გამო ძლიერ შეზღუდული იყო და ბევრს ვერაფერს აკეთებდა. მაგრამ ერთგვარი გარდატეხა უკვე მოხდა განათლების საქმეში, რასაც

ხელი შეუწყო ქვეყნის ეკონომიურად მოღონიერებაში.

დღეიდან ჩვენი მასწავლებლობა, ნივთიერად საკმაოდ უზრუნველყოფილი და შესაფერ პირობებში ჩაყენებული გათქმული ინერგიით შეუდგება ახალი სკოლის შენებას, რათა მომავლის საფუძველი.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცის ამ კონფერენციამ განათლების მუშაკთა კავშირის გაგანსაღებას. ეს კავშირი, როგორც ვიცით, ძალიან გვიან მოეწყო, რასაც თავისი მიზეზები ჰქონდა, რის აღნიშვნას ჩვენ ეხლა აქ არ შეუდგებით. მაგრამ კავშირმა დღემდის ვერ მოახერხა მასსებთან დაახლოვება, ვერ მოიპოვა საჭირო ავტორიტეტი მასწავლებელთა შორის. ამის მიზეზი კი უნდა ვეძიოთ აუცილებლად ხელმძღვანელი ორგანოს შეზღუდვებში. აქ კი ერთ პირსაც ვერ ვიპოვებთ რომ საქართველოს მასწავლებლობა იცნობდეს და მათი პატივისცემა რითიმე დაემსახურებოდეს. დღევანდელი პრეზიდიუმში გამეგობას არც კი აუარჩევია, და საზოგადოთ კავშირის გამეგობა უფრო ქალაქზე არ იგობს. ამიტომ არც გასაკვირია კავშირის სისუსტე და უმოქმედობა.

მაგრამ ამას ბოლო უნდა მოეღოს. ამ კონფერენციამ კავშირის ხელმძღვანელებს უნდა გამოჰყოს ისეთი პირები, რომელთაც მეტი ვაკეთება შეუძლიათ, რომელთაც გული შესტკივთ ქართული სკოლისა და მისი ერთგული მუშაკებისათვის.

ლოჯანას კონფერენცია და მსგავსების საკითხი

უკანასკნელი რადიო გადმოგვცემს, რომ იანვრის 29-ს მოკავშირეებმა გადასცეს ოსმალეთის წარმომადგენლებს სამშვიდობო ხელშეკრულების ტექსტი. ოსმალეთისათვის წარდგენილი პირობები მიუღებელი შეიქმნა და ლოჯანას კონფერენციის სხდომები მათის თხოვნით შესწყდა სამი კვირის განმავლობაში. ასეთი ლოჯანას კონფერენციაზე ორი თვის განმავლობაში წარმოებული დიპლომატიური ვარჯიშობის შედეგები. მან ვერ მოგვცა ზავი და ვერ გადასწყვიტა ახლო აღმოსავლეთის პრობლემა.

მეორე მხრით დიპლომატიური კრიზისს ზედ ერთვის მოწინააღმდეგე ძალთა მზადება და გართულებული მდგომარეობა საომარი მოქმედების დაწყებით. როგორც ვტყობობობთ, ანგორის ნაციონალურმა ყრილობამ თავის არა ჩვეულებრივს კრებაზე განიხილა საკითხი ომის დაწყების შესახებ. მოსულში კი იგზავნება ინგლისის ჰაერობლანები და სამხედრო დახმარება დასვამს.

ლოჯანას სამშვიდობო კონფერენცია დამთავრების პროცესში არის, მაგრამ მან მშვიდობიანობის ნაცვლად—ახალი კონფლიქტებისა და ომის შესაძლებლობის წინაშე დააყენა როგორც ახლო აღმოსავლეთი, ისე მთელი ევროპა.

ოსმალეთის პრობლემა საერთაშორისო ურთიერთობის ერთ მთავარ რგოლს წარმოადგენს. ევროპის დიპლომატიამ დიდი ხანია რაც სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა „გადამეფი“ და ამის უხვი დოკუმენტის მიმკვიდრეთ გამოაცხადა თავისი თავი. მთელი მეცხრამეტე საუკუნის განმავლობაში ოსმალეთი ზედი ზედ კარგავს თავის ტერიტორიებს, როგორც ევროპაში, ისე აზიას და აფრიკაში. მაგრამ მისთვის ყველაზე უფრო დამუხუცელი შეიქმნა მიმდინარე საუკუნე.

ევროპის იმპერიალისტური სახელმწიფოთა აგრესიული კაპიტალი ყოველს მხრით შეიჭრა ოსმალეთში და თავის გაგუნებას დაუშორებელი მთელი მისი ეკონომიკა და პოლიტიკა. მეორეს მხრით იმპერიალისტურ სახელმწიფოთა შორის გამწვავებულმა დამოკიდებულებამ მეტად გაართულა ოსმალეთის საკითხი და მისი მომავალი საბედისწერო სასწორზე დასდვა. ეს უკანასკნელი 15 წელიწადიდან ოსმალეთის მდგომარეობა გართულებულია, როგორც შავი და არსებული პრობლემის, ისე საერთაშორისო

ვითარების გამო. ოსმალეთის საკითხი ღრმად გადაეჯიჭრა საერთაშორისო იმპერიალისტურ პრობლემებს და მისი ცხოვრების ვითარება დამოკიდებული შეიქმნა იმისგან, თუ როგორს სახესა და ვითარებას მიიღებდა მსოფლიოში მომქმედ ძალთა ურთიერთობა.

გართულება ოსმალეთის საკითხისა გამოიწვია კიდევ უფრო მისმა სერთაშორისო ომში ჩარევამ, სადაც მან თავისი ბედი გერმანიის კოალიციას შეუთანხმდა. გამარჯვებულმა ანტანტამ დამარცხებულ გერმანიის ვერსალის საზავო პირობები წარუდგინა გასანადგურებლად. ოსმალეთის საკითხი კი დიდი ხნის განმავლობაში ვერ ეღიარა განხილვას. ამის მთავარი მიზეზი იყო თვით მოკავშირე სახელმწიფოთა შორის ძირითადი წინააღმდეგობა ახლო აღმოსავლეთის საკითხში.

ინგლისი აზიის უდიდესი მფლობელია და მას მეტად ფართო გეგმები აქვს დასახული აზიისა და აფრიკის ქვეყნების მიმართ. ინგლისის იმპერიალისტური პროგრამა მიზნად ისახავს აფრიკის თავისი ტერიტორიები გააერთიანოს არავის, მესობოპამისა და სპარსეთის თავისი გავლენის ქვეშ დაყენებით, ინგლისის სამფლობელოსთან და ამით შექმნას ერთი მთლიანი რკალი კოლონიური მართებლობისა. ამ დიდი პროგრამის განსახორციელებლად ინგლისისათვის აუცილებელი შეიქმნა ოსმალეთის დაპყრობა, მისი რამდენიმე ერთეული დაპყრობა და ამით ოსმალეთის პოლიტიკური—დამოუკიდებლობის ფაქტორი მოსპობა; ინგლისის ეს ფართო გეგმები აგრეთვე დაყენებით მოითხოვდა სრუტეებისა და დარდანელის თავის გახსნის ქვეშ დაყენებას, რომ ამით მთელი აღმოსავლეთისა და ხმელთაშუა ზღვის მთავარი გასაღები ხელში ქეროდა.

საფრანგეთის ინტერესებში არ არის ასე ფართო აღმოსავლეთის მიმართ. ეს უფრო დანიტერესებული არის ევროპის საქმეებთან და ამიტომ მისი ინტერესები მოითხოვს ოსმალეთის პოლიტიკური არსებობის შენარჩუნებას და მასთან მორიგებას, რომ ამით ინგლისის წინააღმდეგ ყოველი მომქმედი ძალა ახალ აღმოსავლეთში.

იმპერიალისტების სახელმწიფოთა ასეთმა წინააღმდეგობამ გააქიანურა ოსმალეთის საკითხის გადაჭრა და ომის დამთავრების დღიდან თითქოს ათი კონფერენცია გაიმართა ამ საკითხის გამოსარკვევად. საერთაშორისო შექმნილი პირობების გამო ინგლისმა გაიმარჯვა საფრანგეთის პოლიტიკაზე და 1920 წელს მიძღვრა იგი ხელი მოეწერა ა. წ. სევრის ხელშეკრულებამ. როგორც ვიცით ამ ხელშეკრულებით ინგლისმა სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ოტომანის იმპერიას. მთელი რიგი ოსმალეთის ტერიტორიისა ჩამოაკალეს მას და გაიწილეს ურთიერთ შორის სახელმწიფოებმა. მესობოპამია, არაბეთი, სირია, სმირის ოლქი ფრანკი ხელშეკრულების ძალით ხელიდან გამოეცალა ოსმალეთის სრუტეები და კონსტანტინოპოლი გადაეცა ერთა ლიგას, უნდა გამოცხადებულიყო აგრეთვე ქურთისტანის ავტონომია და სომხეთის დამოუკიდებლობა. ამ ხელშეკრულების ძალით ოსმალეთი კარგავდა თავისი ტერიტორიის და მცხოვრებთა დიდ უმეტესობას. 1914 წელს ოსმალეთის მცხოვრებთა რაოდენობა აღწევდა 21 მილიონს; ხელშეკრულებით ოსმალეთის განკარგულებაში რჩებოდა 8 მილიონზე მეტი. ამ გვარად ინგლისმა თავისი გაიტანა და სევრის ხელშეკრულებით სასიკვდილო განაჩენი გამოუტანა ოსმალეთს.

მიუხედავად იმისა, რომ საფრანგეთმა იტალიამ ხელი მოაწერეს ამ ხელშეკრულებას, მისი რატფიკაციისათვის არც ერთს არ უფიქრია და ორივენი უქმყოფი იყვნენ. ფაქტურად ორივე სახელმწიფო ფარულ მოლაპარაკებას

აწარმოებდნენ ოსმალეთთან და 1922 წელს საფრანგეთმა ხელშეკრულება გადასცა სეპარატიულის გზით ანგორის მთავრობასთან.

იტალიამ კი 1921 წელს დაიწყო ურთიერთობის დაჭრა. მათი მთავარი მიზანი შეიქმნა სევრის ხელშეკრულების გადასინჯვა და ამას ცდილობდნენ ოსმალეთის ძალების დახმარებით.

თვით ოსმალეთში სევრის ხელშეკრულებამ უდიდეს ნაციონალურს მოძრაობას შეუქმნიდა ნიდაგი და შექმნა ანგორის მთავრობა, რომელიც იარაღით ხელში დაუპირისპირდა ანტანტას და მოისურვა თავისი ტერიტორიის ხელშეუხებლობის დაცვა. ინგლისის პოლიტიკის გამტარებელი შეიქმნა ახლო აღმოსავლეთში საბერძნეთი. ბერძენ-ოსმალთა ომი ეს იყო არსებითად—ოსმალეთ ინგლისის ომი.

ასეთი გართულებული პირობები შეიქმნა ახლო აღმოსავლეთში. ქემალ-ფაშის გამარჯვებამ საბერძნეთის ჯარებზე, ხელმოკრედ დასვა ოსმალეთის საკითხი მოკავშირეთა წინაშე და მოითხოვა სევრის ხელშეკრულების გადასინჯვა.

ფაქტურად ინგლისი მეტად გართულებულ პროცესში ჩაგარდა. ერთის მხრით უთანხმოება საფრანგეთთან და მეორეს მხრით, ანატოლიის ჯარების შემოტევა და თავისი ძალების სისუსტე—ართულებდა ამ მდგომარეობას. ასეთი პირობებში ინგლისის თითქოს დათმობის გზას დაადგა და მუდანიის კონფერენციაზე შემარტებული პოლიტიკა წამოაყენა. ფაქტურად ეს ინგლისისათვის საჭირო იყო თავისი მდგომარეობის გასაუმჯობესებლად: ინგლისმა თითქოს შესძლო შეთანხმების მიღწევა საფრანგეთთან, შეჭრა კავშირი პატარა ანტანტისა და მასთანვე სამხედრო ძალებიც გააძლიერა ახლო აღმოსავლეთის მნიშვნელოვან ცენტრში.

ლოჯანას კონფერენციის ვითარებამ დაამტკიცა, რომ ინგლისის სურდა დიპლომატიური ხრიკებით ახალი ვერსალის შექმნა ლოჯანაში. ის ფაქტურად გამაგრდა და კვლავ გამანადგურებელი პირობები წაუყენა ოსმალეთს.

დღეს ამ კონფერენციის მუშაობის შინაარსს ხელსა გვაქვს და აქედან შეიძლება დავაყენებთ, რომ ინგლისმა ვერსალი გადმოიტანა ლოჯანაში.

ლოჯანას კონფერენციაზე, როგორც ვერსონი აცხადებს, მხოლოდ შეარბილეს სევრის ხელშეკრულება.

როგორც ვიცით, კონფერენციაზე არ აღძრულა საკითხი სირიის, მესობოპამისა და არაბეთის შესახებ. ეს ტერიტორიები აღარ ითვლება ოსმალეთის საკუთრებად. ახალი პირობებით ოსმალეთმა მოიგო მხოლოდ სმირის ოლქი და ფრანკი საწილი და დანარჩენი ტერიტორია ფაქტურად რჩება მოკავშირეთა ხელში. ოსმალეთმა სამუდამოდ ხელი უნდა აიღოს ეგვიპტესა და სუდანზე და სენის ინგლისის ბატონობა კიარზე.

კონფერენციაზე დიდ დავას იწვევდა მოსულის ნავთის რაიონი. აქ ერთი მეროკის ეწინააღმდეგებოდა მოკავშირეთა ინტერესები. ოსმალეთი მოითხოვდა მოსულის დაბრუნებას, ინგლისი ხალხთა ლიგისათვის გადაცემას. ინგლისმა შესძლო თავისი გაეტანა და ხელშეკრულებით მოითხოვა ამ რაიონის საკითხის განხილვას ხალხთა ლიგისაგან.

კაბიეტლიაციის საკითხი ერთი სადავო საკითხთაგანი იყო კონფერენციისათვის; ხელშეკრულებით ხუთი წლის განმავლობაში ოსმალეთში წესდება სპეციალური სასამართლო უსოფელთათვის. ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი საკითხი იყო სრუტეების მდგომარეობა. მოსკოვის რადიოს ცნობით, ამ საკითხის

გადაწყვეტა წამოყენებული ხელშეკრულების მიხედვით ძლიერ ემუქრება საბჭოეთის საზღვრით ნაპირებს. პროექტი ნება ეძლევა სრუტეებში სამხედრო გემების მოძრაობისათვის. ყოველ სახელმწიფოს აქვს უფლება იყოლოს იქ სამხედრო ფლოტი.

ამრიგად მთელ რიგ დიდ მნიშვნელოვან საკითხებში ანტანტამ კვლავ გამანადგურებელი პირობების გამოტანა მოუნდომა ოსმალეთს. დღევანდელ პირობებში ოსმალეთის მდგომარეობა უფრო ნაკლებია, ვინემ ეს იყო ლოჯანას კონფერენციის მოწვევამდე.

უკანასკნელი ცნობებით საფრანგეთი უქმყოფი იყო ამ ხელშეკრულებით. შეიძლება უქმყოფი იყოს აგრეთვე ამერიკაც, რომელიც ეკონომიურად დაინტერესებულია ახლო აღმოსავლეთით. მაგრამ საფრანგეთის პოლიტიკა დამოკიდებულია სარეპარაციო და საერთოდ გერმანიის საკითხთან.

ცნობები გვეუბნებიან, რომ მდგომარეობა ერთმანეთს გართულებულია და ჰაერში ომის სურნი ტრიალებს.

მიუხედავად ამისა შესაძლებელია ოსმალეთმა მიიწი მოიწოდინოს მორიგების გზაზე დადგომა და დღევანდელს პირობებში მისთვის ძნელი არის კონფლიქტის გალამავევა ინგლისთან. ფაქტურად დღეს დღეობით ახლო-აღმოსავლეთის მდგომარეობის გართულება უდრის—საერთაშორისო პირობების გამწვავებასა და ახალს გადაჯგუფებას მებრძოლ ძალთა შორის.

მაგრამ არსებითად ამ პირობებზე ხელის მოწერა ნიშნავს ოსმალეთის კოლონიური დამოკიდებულების განხილვას. მაგრამ მას აქვს მკორე გამოსავალი: უარყოფა ხელშეკრულებისა და ახლო მომავალი დავანახებებს, თუ რომელ გზას აირჩევს ანგორის მთავრობა. უნდა ვითქვითოთ, რომ დღევანდელი მზადება და იარაღის ტარებით უმთავრესად ლოჯანას კონფერენციაზე ვაგლენისა და ხელის მოწერის დაჩქარების მიზნით უნდა იყოს გამოწვეული.

Sanus.

P. S. ეს წერილი უკვე დაწერილი იყო, როდესაც მოვიდა დამატებითი ცნობები ლოჯანას კონფერენციის გათავების შესახებ, რომლიდანაც საინტერესოა საფრანგეთის პოლიტიკა; ის ცდილობს სეპარატიული ზავით შეეგოს ოსმალეთს. თუ კონფერენცია ჩაიშლება ინგლისი იზოლირებაში რჩება. იტალია მხარს უჭერს საფრანგეთს, საბჭოთა რუსეთი აცხადებს, რომ ის არ სცნობს მის გარეშე შეკრულ ხელშეკრულებას. ამ გვარად მტკიცდება, რომ ლორდ გერსონმა დიპლომატიური ხრიკებით მოილომა თავისი პროგრამის გატარება. საფრანგეთ-ინგლისის ინტერესთა წინააღმდეგობამ უკიდურესი სახე მიიღო, რამაც ლოჯანაში გართულებული მდგომარეობა შექმნა. მორიგე პოსტიკა სწერს, რომ მდგომარეობა ლოჯანაში ყირამალა გადატარებულია.

ასეთს გართულებულს პირობებში კერძონი ითვლებული ხდება უკან დაიხიოს და წარდგენილ ხელშეკრულების შემსუბუქებაზე იფიქროს. „დიდი მეილის“ ცნობით კერზონმა მოლაპარაკება გამართა ისმედ-ფაშასთან, რომლის შედეგია საბოლოო შესწორებების შეტანა ხელშეკრულებაში, რომ მიეცეს საშუალება ისმედ-ფაშას. ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას.

ამ გვარად შექმნილი მდგომარეობა ლოჯანაში დიდ შანსებს აძლევს ოსმალეთს.

Sanus.

დემოკრატიზმით იმპერიალიზმისაკენ

ევროპის კონტინენტზე დიდი ამბები ხდება. საფრანგეთის ბურჟუაზიულმა მთავრობამ განმედილი ნაბიჯები გადას-

ჩავგრა-მონობის შვიი ფურცელი ჩაინასჯა მსოფლიო ცხოვრების მატარებელში.

რუის ოლქს მერად დიდი მნიშვნელობა აქვს გერმანიის მუშათა კლასისათვის. იგი წარმოადგენს გერმანიის ეკონომიურ ორგანიზმის ხერხემალს. რუის მიდამოები მდიდარია უმთავრესად ქვანახშირით. ამიტომ გერმანიის არც ერთ პროვინციაში არაა ინდუსტრიული წარმოება იმ დონემდე განვითარებული, როგორც ეს რუისის ოლქშია კერძოდ. ქვანახშირის წარმოების ცენტრალი ქალაქი დორტმუნდია, 250 ათასი მცხოვრებით და ბოხუმში—ცნობილი მთელი ევროპის მამულებით ფაბრიკა-ქარხნების მრავალრიცხოვანებით. ქალაქები: ჰელ-ჰენკიხენი, შალე, ვატენშეიდი, პატინგენი და სხვ. წარმოადგენს ფაბრიკების კონცენტრაციას. ჰერდენი მზადდება განსაკუთრებით ფოლადი, ზოლოქალაქები, რომლებიც მდებარეობს ბარმენისა და ჰელბერგელდის მახლობლად, ფოლადის ნაწარმოებთან ერთად იძლევა დიდძალ მანუფაქტურულ ფაბრიკებს. 1922 წელს რუისისა და რენის ოლქებში გერმანიის სამი მილიონი ტონი რკინა მისცა, ე. ი. მთელი წარმოების 41 პროცენტს, 8260 ათასი ტონი თუჯი (74 პროც. მთელი წარმოების), 43 ათასი ტონი კალა. იქ ირიცხებოდა 1920 წელს მთელი მუშების 24 პროც. დაახლოებით.

ასეთია მოკლედ მდინარე რუისის ოლქის მნიშვნელობა გერმანიის მშრომელი ხალხის ეკონომიურ წინსვლისათვის. მისი ჩამოშორება გერმანიის მთლიან სხეულისაგან ფაქტურად მოასწავებს გერმანიის პროლეტარიატის ცხოვრებისათვის საშიშელ ეკონომიურ პირობების შექმნას, გერმანიის კომუნისტურ მდგომარეობაში ჩაყენებას. ამევე დროს რუისის მიდამოების ოკუპაცია გააძლიერებს საფრანგეთის ბურჟუაზიას. საფრანგეთის კაპიტალიზმის მაგნატები ამოიხსნებენ დახუთულ სულს და ფართო არებს მისცემენ ინვესტიციების სულისკვეთებით ათამაშებას რამოდენიმე ხნით მაინც. რუისის ოლქის ტრაგედია მთელი ევროპის რევოლუციონერ მუშათა კლასის ტრაგედიაა არსებითად. ფაშისმის ვათახედების შემდეგ პუნჯარეს გამარჯვებაც უშეძლებად ახალ სასიცოცხლო ჩქერს შესძენს კაპიტალისტურ და რეაქციონერ ქვეყანას. კერძოდ საფრანგეთის „დემოკრატიული“ მთავრობა შეეცდება „გამარჯვების“ და „წინსვლის“ ოპორტუნით დაითრია საფრანგეთის მშრომელი მასა. მოკლედ: რუისის ოლქის ბედი ორგანიზულად დაკავშირებულია როგორც გერმანიის პროლეტარიატის ბედთან, ისე მთელი დასავლეთ ევროპის მშრომელთა კლასის აწმყოსა და მომავალთან.

რა გზით შეიძლება ბურჟუაზიულ გველეშაპის თავის გაქეპვა?—მშრომელთა კლასის ბრძოლის გზით, რევოლუციის საშუალებით. ამ მხრით მუშათა მთლიანი ფრონტის იდეა მერად კონკრეტული ღირებულების მქონეა. კომინტერნა სწორად კარგ დროს წამოაყენა ეს საკითხი. მხოლოდ მუშათა მთლიანი ფრონტი უწყაღდებს ბურჟუაზიულ კლასების შემოტევას. სოციალისტურ რევოლუციონერ მიმდინარეობათა მორიგი ამოცანა ბურჟუაზიულ მსოფლიოსადმი პროლეტარულ ლეგიონების დაპირისპირებით ამოიწურება. ასეთი უნდა იყოს გაერთიანებულ ინტერნაციონალების თვალსაზრისი. ასეთია კომინტერნის გზა.

სამწუხაროდ, ფაქტურ მდგომარეობის ზოგადი მოხაზულობა საწინააღმდეგო სურათებს შლის ჩვენს წინაშე. ვაისის საზარელი კვენსა გერმანიის მშრომელი ხალხის, მაგრამ არ გვემის სოციალ-დემოკრატიის მდგომარეობა. პირობითი, საერთო უბედურების დროს შეიღებანის პარტია მოთმინებისავენ მოუწოდებს აბოძოქრებულ პროლეტარულ ტალღებს. ცხადია, გერმანიის მენშევიზმი ბუნებრივად ანვითარებს რევოლუციონერ ხალხს. იგი ლოიალი განწყობილებით თვალთ უცქერს საფრანგეთის იმპერიალისტების გამხეცველ მადა-აშლილობას, ბრძნულის სიღინჯით ხედება მოვლენათა მსგულლობის შემდეგ განვითარებას. ყველივე ეს მოსალოდნელი ამბავი იყო ჩვენთვის. მსოფლიო ომის პროცესსა და დასაწყისში საკმაოდ გამოხეუტდა სოც-დემოკრატიულ პარტიის რევოლუციონერ ფიზიონომია. სოც-დემ. არ უწარმოებია ენერგიული ბრძოლა საერთაშორისო ომის წინააღმდეგ. კერძოდ გერმანიის სოც-დემოკრატიამ მხარი დაუჭირა

ვილჰელმის იმპერიალისტურ გეგმებს. სოციალ-დემოკრატიამ ხმალი აიღო და ნარზენ ქვეყნების მუშების წინააღმდეგ. ანალოგიურად მოიქცა საფრანგეთის თანამშრომელთა. იგი უწყაზნად შესკუბდა სისხლის გვერდზე მცურავ ნავზე მინისტრის პორთფელით ხელში. ასეთია ისტორიული ფაქტები. ამიტომ ვსაგებია მეორე ინტერნაციონალის საქციელი. მუშათა კლასმა საბოლოოდ უნდა შეითვისოს ის აზრი და ქეშმარიტება, რომ სოც-დემოკრატიული მიმდინარეობა არც თეორიულად და არც პრაქტიკულად არ წარმოადგენს ბურჟუაზიულ სამყაროს წინააღმდეგ აქტიურად მებრძოლ რაზმს.

რუისის ოლქის ამბები, საფრანგეთის იმპერიალისტების ახალი შვიი გეგმები ერთხელ კიდევ ადასტურებს ზოგადი ბუნების ქეშმარიტებას, სახელდობრ—ბურჟუაზიული კულტურის დასაშორების აუცილებლობას. მუდმივი ომი, სამსოფლიო ხასიათის ბრძოლები, სისხლისღვრა, მოკლედ—აგრესიული იმპერიალიზმი, აი კაპიტალისტურ მსოფლიოს პრაქტიკული პოლიტიკა, სიცოცხლე და იდეალი. მსოფლიო ომების შეუძლებლობას ნიადავი ჩაეყრება კაპიტალიზმის მოსაბობის გზით. რევოლუციონერი მშრომელთა კლასი მუდამ სდგას ამ გზის სადარჯავოზე.

ოფიციალი მენშევიზმი სეკტიკური თვლით უყურებს მუშათა კლასის ახლო მომავალს. მისი აზრით ჯერ არ არის მოწინავებული სოციალისტური საერთაშორისო რევოლუციისათვის ობიექტიური პირობები. ომმა გაანადგურა „კულტურა“. საჭიროა იგი აღსდგეს კვლავ რადგან სოციალიზმისათვის აუცილებლობაა „მაღალი კულტურის“ არსებობა, კაპიტალისტური მეურნეობის რენესანსის ძველი ფორმებით შეიძლება არსებულ პირობებში. პროლეტარიატი ვერ აღადგენს ეკონომიკის მოშლილ აპარატს. ევ საქმე „სპეცის“—ბურჟუაზიის კუთვნილებაა. ამიტომ ზედმეტია მუშათა კლასის დიქტატურაზე ლაპარაკი. უნდა განვამტკიცოთ დემოკრატიზმი და დემოკრატიული გზით ვაგქანდეთ სოციალიზმისაკენ. ასეთია მენშევიკური ოფიციალი არგუმენტები, რევოლუციონერი მარქსიზმის დებულებებზე აგებული. ეს არის მენშევიზმის მთელი ფილოსოფია.

ამჟამად, ასეთი გზის მცდარობა, მშრომელი ხალხი უარყოფს ამ გზას სრულიად ბუნებრივად. წარმოების კაპიტალისტური სისტემას არ ძალუძს წარმოებაში ანარქიის მოსპობა. ეს სოციალისტური წარმოებაშია მხოლოდ წარმოსადგენი. ჩვენთვის ნაცნობია აგრეთვე კაპიტალიზმის განვითარების სტადიები. საეაზშო და ფინანსიური კაპიტალი არის მისი სახეობათა პოლიუსები. ევროპულმა ომმა დაარღვია კაპიტალისტური წარმოების მექანიზმი. გაიზარა კაპიტალიზმის კალაპორტი. მოხდა ფაქტი კაპიტალიზმის დეკანდასის, აშკარაა, კაპიტალიზმის განვითარების ნიადავზე ახალ არაფერს მივიღებთ. განმეორდებ, მხოლოდ ძველი ისტორია. მსოფლიო იმპერიალისტური ომების შიშის ქვეშ მოყვებით. კვლავ განადგურება „კულტურის“, ბრძოლა მისი აღდგენისათვის, კვლავ ომი და ასე დაუსრულებლად. აი, რა მოყვება კაპიტალიზმის რესტავრაციის გზით სიარულს.

მეორე ინტერნაციონალის პლატფორმა და პოლიტიკა აშკარად მიუღებელია. „დემოკრატიზმს“ ჩვენ მიეყვებით არა სოციალიზმისაკენ, არამედ იმპერიალიზმისაკენ. საფრანგეთის „დემოკრატიზმი“ და მისი შინაბუნება რუისის ოლქის ოკუპაციაში სურათხატდება. ამერიკის დემოკრატიზმი მცარე ერების დამონავებით აინუსება. ინგლისის დემოკრატიზმი კალონიების ექსპლოატაციით აღინიშნება იაპონიის დემოკრატიზმი იმპერიალისტური გეგმების ფორმაციით ამოიწურება. უნდა შეურიგდეთ იმ აზრს, რომ დემოკრატიზმის პერიოდი განვლილია

კაპიტალიზმის ისტორიაში წარმოების კაპიტალისტურ-ბურჟუაზიულ სისტემამ მოსპობა თავისი ძირითადი წინააღმდეგობის ტახტი ძალზე შეზღუდულია. რენესანსის სტადიის რესტავრაციის უნაძლებლობა ახალს-ახალი—უახლესს.

გმინავს გერმანიის მუშათა კლასი. მას ახრბობს რკინის მუხრუჭი, საფრანგეთის იმპერიალიზმის რკინის ბრქვალები. გერმანიის პროლეტარიატი განთავისუფლდება მხოლოდ საბჭოთა სისტემის გზით, საერთო კლასიურ დიქტატურის საშუალებით, მუშათა მთავრობის მეოხებით. გერმანიის მუშათა კლასი იმდენად არ არის ენერგიული, რომ ვერ შესძლოს ცეცხლის ენებით დლაპარაკება ბურჟუაზიის ვეცხერანგებთან.

ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების რევოლუციონერი მოძრაობა პირველი მეცხრედილი საბჭოთა ხელისუფლების დამყარებისა გერმანიაში. ამას ხელს უწყობს, აქაჩავს ამ პროცესს თვით მენშევიკური მთავრობის პოლიტიკა, რუისის ოლქის ოკუპაცია, გერმანიის მუშათა კლასის მძიმე ეკონომიური და პოლიტიკური პირობები, მასის რევოლუციონერი შეგება.

საბჭოთა ფედერაციის მუშები და გლეხები თანაუგრძობენ გერმანიის მოძმევს. კიდევ მეტი—გმნარებიან ფინანსურადც მათ. მსოფლიოს არც ერთი სახელმწიფოში არ აქვს მზავდეს მოვლენას ადგილი. ეს კიდევ ამტკიცებს ორ მსოფლიოს შუა არსებულ სასტიკ წინააღმდეგობას და ინტერესთა სხვაობას.

გ. მუშევილი.

დაღიანი ოჩაფეხი

შალვა დაღიანი.

შედიან მოკუნტულები. უღიმინ იარლიკებს ბოთლებზე. გაქიანურებით სვამენ სქელ ჩარბიან ქიქები. ამბობენ გულის-ნადებ სიტყვებს და მიკტანი მუდამ იხდის ქულს ყოველ აწეულ ქიქისთან. ო, რამდენ გულწრფელ აღსარებას მოისმენს იგი, თავის ოლაროვით გრძელ დახლთან.

მოსიადუმე ქალის გულივით ბედნიერია მიკტანი.

შემოდის დაღიანი.

„შალვას გაუმარჯოს!“

ტორტმანებენ დახლთან.

გამხდარი ძალი ლასასით დაუძვრება ფეხებში მთვრალებს.

„მოითათ საქართველო!“

დახლში ფუსფუსია.

კუთხეში არღანს აძრობენ ტანზე და ხელაქარებით უკრავენ რაღაცას გრძელს.

სვამენ საღვეგრძელს.

ქრაქი ალაპლაძდება და ცოფიანივით დაყრის სინათლეს მორტარულ დაზავზე.

ფიროზით თვალზე დაეძმებს დაღიანი ვიდეცებს ვარშემო.

უტრათ შენიშნავს და ასწევს ყანწს.

ყველანი მოისმენს და ვერ გაიგებს მიკტანის გარდა.

ჯერ კიდევ ბევრი ქიქები დაიცილება „თანახმად თამაღისა“.

არღანზე გამოცვლიან საკრავს.

დაღიანი გრძობით ვაზავთულ ცხვირსახოცით იკრავს ფიროზით დაჭრილ ნეკს და ყანწით შესთავაზებს ყველას თავის ღმერთს.

არყის სუფრასთან წმეტუნით იკვილებს ძალი და არღანი ჰერში ვარჩება ერთ წუთს.

ბიჭი ღვინიან ხელსახოცით მიფერთხავს.

გასამფებულ საცოდავს კარებში.

რუსი ნღურებით გადახედავს თავის მარცხიან ფეხს და ბარბაკით ვაგანებს კარებს.

ასე იქნება მუდამ სამიკიტნო და დაღიანის საღვეგრძელი.

ყოველ დილით ოჩოფებზე მოემართება კოკლი დაღიანი ქულ-მოხდილი სამიკიტნოიანი.

ყველანი დაღიან და ასე ივლიან ოჩოფებით სამიკიტნოში.

... დუქანში არღანს აცმევენ კაბას და ხუმარას ქუდეგებით აწყობენ საინებს.

შალვა სოხლანი.

29 იანვარი.

დედა-ქალაქი.

განათლების საქმე საქართველოში

(განათლების საბჭომის აპ. დ. კანდელაკის მოხსენებიდან)

მცირე წლიდან დაწყებული განათლების ორგანიზაცია დაიწყო 1921 წლის სექტემბრის 1-ლ რიცხვებში, მოეწყო 2 ქვეგანყოფილება: 1. ბავშვთა უპატრონობასთან ბრძოლის ქვეგანყოფილება; და 2. ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვთა აღზრდისა და განათ. ქვეგანყოფილება.

პირველი ქვეგანყოფილებასთან მოეწყო იურიდიული დახმარების სექცია და საზოგადოებრივი—საშიშ მოქმედებებში ბრალდებულ მცირე წლოვანთა კომისია.

საბავშვო კოლექტორის მოწყობას უპატრონო ბავშვთათვის განყოფილება შეუდგა ოქტომბრის ვასულს. უბნობისგამო კოლექტორის გახსნა დაგვიანდა და მოქმედება დაიწყო მხოლოდ 1922 წლის მისს. ფიზიკური ნაკლის მქონე ბავშვების აღზრდისა და განათლების ქვეგანყოფილებამ ყურადღება მიაქცია იმ დაწესებულებათა აღდგენას და მოწყობას, რომელნიც ოდესისაც არსებობდნენ, მაგრამ ან დაიხურნენ, ან ახლანდელ დროს აღარ შეეფერებოდნენ. ასეთ დაწესებულებათა რიცხვს ეკუთვნის: უსინათლოთა სკოლა. ყრუ-მუნჯთა სკოლა და „მცირეწლოვან დაზნაშვეთათვის“ ბრძნული ავკალის ახალმენი. ოქტომბერში მოქმედებდა დაიწყო ყრუ-მუნჯთა სკოლა მოწყობების მცირე რიცხვით (14). რადგან არც შესაფერი შენობა მოგვეპოვებოდა არც მომზადებული სპეციალისტები იყვნენ. იმავე ოქტომბერში გაიხსნა უსინათლოთა სკოლა 30 ბავშვით. 1922 წლის სექტემბერში მოწყობეთა რიცხვი ამ სკოლაში 60-დგ ავიდა. საჭიროა, აორაღური დეფექტის მქონე ბავშვთათვის (ძველი ტერმინოლოგიით) „მცირე წლოვან დაზნაშვეთათვის“ კვლავ აღდგენილ იქნას ავკალის ახალმენი. თვით ახალმენი ძირითად რეორგანიზაციას მოითხოვს. იურიდიული დახმარების სექცია მოქმედებს 1922 წლის ოქტომბრიდან. იგი აწარმოებს ყველა იმ საქმეს, რაც მცირეწლოვანის უფლების დარღვევას გვხვს, როგორც არის

მაგალითად: მზრუნველის მიერ ობლის ქონების გაუფიქრებელად, ბავშვების ჩათრევა სპეკულიაციაში, გარყვნილება და სხვა. რესპუბლიკის ზოგიერთ მსხვილ ცენტრებში, როგორც მაგალითად, ქუთაისში, ფოთში, ბათუმში და ბორჯომის მახრავში არსებობენ მცირე წლოვანთა უფლების დაცვის ქვეგანყოფილებანი სათანადო დაწესებულებებში.

საუფიქრად ყველა დაწესებულებას, რომელიც კი განყოფილებას ექვემდებარება, უდევს შრომობით პრინციპი. სკოლებში არის სათანადოდ მოწყობილი სახელსწიფოები და ხელსაქმის კლასები. ზემო-ავკალის ახალმენში არის 20 დესეტინა სახანავი საბაღე და სამოსტენ ადგილი, სადაც ბავშვები, სპეციალისტთა ხელმძღვანელებით, სსსოფლო-სამეურნეო მუშაობას აწარმოებენ.

ციფრები: 1922 წლის განმავლობაში (1921 წლის დეკემბრიდან) მცირე-წლოვანთა უფლების დაცვის განყოფილების ხელში გაიარა 1700 ბავშვადე. ეროვნული შემადგენლობა ამ ბავშვებისა ასეთია: რუსი—82 პროც. სომეხი—12 პროც. ქართველი—31,2 პროც. და სხვა ეროვნებათა 2 1/2 პროც. რადგან მთელ რესპუბლიკაში მორალური დეფექტის მქონე ბავშვებისათვის მხოლოდ ერთადერთი ახალმენი არსებობს, ამიტომ ბავშვების უმრავლესობა—672—დღემამის მზრუნველობას გადაეცა; 127 ბავშვი გა მართლებულ იქნა, ახალმენში ვაიგზანა—91, საბავშვო სახლში—17, საავადმყოფოში—28 ბავშვი, სახალხო მოსამართლეს გადაეცა 70 ბავშვი; სულ მთელი წლის განმავლობაში კომისიამ განიხილა 908 საქმე 1007 ბავშვის შესახებ, რომელთა წლოვანებაც 12—18-დგ იყო გავების რიცხვი შეადგენდა 80 პროც. ქალებისა 14 პროც. 18 წლისაზე უმცროსი გათხოვილი ქალებისა 6 პროც.

ლიტერატურულ-მხატვრული სექცია დიდი მნიშვნელობა აქვს: მან უნდა შექმნას და განავითაროს საბავშვო ლიტერატურა, მუსიკა და თეატრი. აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენს საჭიროებულში საბავშვო გამორკველობის, სა-

ბავშო თეატრისა დი კინოს სათანადო სიმალღე დაყენება, ჩვენი საბავშვო ლიტერატურა ვერ კიდევ მერად ღარიბია და სკოლისა და ოჯახის მოთხოვნილება ამ სწორე სრულებით არ არის დაკმაყოფილებული დღეს არსებული საბავშვო წიგნებით. ამ აზრით დაარსდა სოციალურ აღზრდის მთავარ მმართველობასთან ეს სექცია. მან მოუზარა მთელად 1922 წლის ივნისში. სექციას მიზნათ აქვს: 1) შექმნა და განვითარება საბავშვო ლიტერატურის; მუსიკისა და თეატრის და 2) განხორციელება უმაღლეს კონტროლისა მთელი რესპუბლიკის საზოგადოებრივ და კერძო ორგანიზაციების მუშაობებზე ამ დარგში. სექციამ უპირველეს ყოვლისა ხელი მოჰკადა იმ წიგნებს, რომელნიც წინათ გამოდიოდნენ ახალგაზრდების ორი ასაკისათვის: პატარებისა და მოზრდილებისათვის. ხელახლა გადაიხედა მათი პროგრამები და შეუდგა მათი გამოცემის განგრძობას. შემდეგ სექციამ შეიმუშავა საბავშვო გამომცემლობის გეგმა, რომელსაც შეძლებისდაგვარად ანხორციელებდა.

სულ დაიბეჭდა 17 სახელწოდების გამოცემა მხატვრული და მეცნიერული-ლიტერატურული ხასიათის. თითო წიგნი 16-დან 274 გვერდამდე შეიცავდა. ეველა წიგნი მერად მხატვრულად არის გამოცემული. არის ისეთი ტიპის გამოცემანი, როგორიც ქართულ გამომცემლობას ჯერ არ უნახავს. ასეთია, მაგალითად, კრებული „შემოდგომა“ და ზღაპარი „მებერი ტურა და კულა მელა“, რომელიც ლიტერატურულ საშუალებით იქნენ გამოცემული. თითო წიგნი იბეჭდებოდა 2000-დან 30,000 ცალამდე. სომხურ ენაზე გამოიცა ეურნალი „ასკერი“ და ერთი წიგნი, სულ 18 ათასი ცალი. თათრული ენაზე გამოიცა ერთი წიგნი ათას ცალად. სხვა და სხვა შინაარსის წიგნი გამოიცა: ქართულად 79000 ცალი, ეურნალში „ნაკადული“ და „გვეჯილი“—28000 ცალი, მუსიკალური ნაწარმოები—1000 ცალი; სომხურად: წიგნი—10,000 ცალი; ეურნალი 3000 ცალი, მუსიკალური ნაწარმოები—1000 ცალი; თათრულად: წიგნი—1000 ცალი სულ სამივე ენაზე გამოიცა 123 ათასი ცალი. მუსიკალური ნაწარმოები

დაღიანი ოჩაფეხი

შალვა დაღიანი.

შედიან მოკუნტულები. უღიმინ იარლიკებს ბოთლებზე. გაქიანურებით სვამენ სქელ ჩარბიან ქიქები. ამბობენ გულის-ნადებ სიტყვებს და მიკტანი მუდამ იხდის ქულს ყოველ აწეულ ქიქისთან. ო, რამდენ გულწრფელ აღსარებას მოისმენს იგი, თავის ოლაროვით გრძელ დახლთან.

მოსიადუმე ქალის გულივით ბედნიერია მიკტანი.

შემოდის დაღიანი.

„შალვას გაუმარჯოს!“

ტორტმანებენ დახლთან.

გამხდარი ძალი ლასასით დაუძვრება ფეხებში მთვრალებს.

„მოითათ საქართველო!“

დახლში ფუსფუსია.

კუთხეში არღანს აძრობენ ტანზე და ხელაქარებით უკრავენ რაღაცას გრძელს.

სვამენ საღვეგრძელს.

ქრაქი ალაპლაძდება და ცოფიანივით დაყრის სინათლეს მორტარულ დაზავზე.

ფიროზით თვალზე დაეძმებს დაღიანი ვიდეცებს ვარშემო.

უტრათ შენიშნავს და ასწევს ყანწს.

ყველანი მოისმენს და ვერ გაიგებს მიკტანის გარდა.

ჯერ კიდევ ბევრი ქიქები დაიცილება „თანახმად თამაღისა“.

არღანზე გამოცვლიან საკრავს.

დაღიანი გრძობით ვაზავთულ ცხვირსახოცით იკრავს ფიროზით დაჭრილ ნეკს და ყანწით შესთავაზებს ყველას თავის ღმერთს.

არყის სუფრასთან წმეტუნით იკვილებს ძალი და არღანი ჰერში ვარჩება ერთ წუთს.

ბიჭი ღვინიან ხელსახოცით მიფერთხავს.

გასამფებულ საცოდავს კარებში.

რუსი ნღურებით გადახედავს თავის მარცხიან ფეხს და ბარბაკით ვაგანებს კარებს.

ასე იქნება მუდამ სამიკიტნო და დაღიანის საღვეგრძელი.

ყოველ დილით ოჩოფებზე მოემართება კოკლი დაღიანი ქულ-მოხდილი სამიკიტნოიანი.

ყველანი დაღიან და ასე ივლიან ოჩოფებით სამიკიტნოში.

... დუქანში არღანს აცმევენ კაბას და ხუმარას ქუდეგებით აწყობენ საინებს.

შალვა სოხლანი.

29 იანვარი.

დედა-ქალაქი.

რუისის ოლქის ოკუპაცია

რუისის ოკუპაცია და გერმანული პარტიები. მოსკოვი 5 თებერ. რეისტრის პარტიები რუისის ოკუპაციის გამო ამა თუ იმ პოზიციის მიღებაში მერყეობენ. სო-

კლავ-დემოკრატებში სკარბოზს აზრი, რომ ესაა ხელსაყრელი მომენტია საფრანგეთთან მოლაპარაკებისთვის.

მეტალურგიის მდგომარეობა. მოსკოვი 5 თებერ. ელზას ლორენის მეტალურგიის მიმე კრიზისის გამო, ბრიტანის მეტალურგიის რურის ოკუპაციასთან დაკავშირებული ნაყოფიერების გაძლიერება ეწინააღმდეგება.

პროტესტები რუსეთში. მოსკოვი 5 თებერ. კომინტერნის აღმ. კომიტეტში საბჭოთა რუსეთის სხვა და სხვა ადგილიდან შემოდის რურის ოკუპაციის გამო მუშათა ორგანიზაციების პროტესტები. მუშათა მასებმა სწორათ ესმის ყველა ქვეყნის პროლეტარიატის საერთაშორისო ერთიანობის მნიშვნელობა და ამიტომ გამოსთქვამენ სურვილს, კომინტერნის პირველ ძახილზე გამოვიდნენ საერთაშორისო კავშირის წინააღმდეგ საბრძოლველად.

ეკატერინბურგის ქარხნების მუშებს გამოაქვთ პროტესტის რეზოლუციები საფრანგეთის იმპერიალიზმის ახალ ომის გამოწვევის განზრახვის გამო.

ხარკოვის ქალაქის საბჭოს ვაფაროვებულმა პლენუმმა მოისმინა რაკოვსკის მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ და მიიღო რეზოლუცია, რომელშიც ხარკოვის მუშათა და წითელარმიელთა სახელით გამოთქმულია პროტესტი მსოფლიო ბურჟუაზიის პოლიტიკის წინააღმდეგ, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ თავდაცვის მიზნით მოწყობილ იქნას ახალი სისხლის ღვრა. საფრანგეთის მთავრობის წინააღმდეგ პროტესტისა და საფრანგეთისადმი თანაგრძობის ნიშნით, პლენუმმა ხარკოვის ქალაქის საბჭოს წევრებმა აირჩია დატუსაღებული ფრანგი კომუნისტები და დაადგინა—დაწესებულენებმა, წარმოებებსა და სამხედრო ნაწილებში შეგროვილ იქნას ხელმოწერით ფული რურის მუშებისთვის დახმარების აღმოსაჩენად.

პეტროგრადში, ურაციის სახელობის სასახლეში ბევრი მუშა-წითელ-არმიელთა თანდასწრებით შესდგა პეტროგრადის საბჭოს საჯარო სხდომა. ამა. ზინოვიევა მოხსენებაში რურის მდგომარეობის შესახებ სთქვა: "მუშაობის არ არის გერმანიის და საფრანგეთის ბურჟუაზიის შეთანხმება, გერმანიაში შესაძლებელი რევოლუციის ჩასაქრობათ. 1871 წელს დამარცხებულმა საფრანგეთმა თავისი გუშინდელი მტერი მოიწვია კომუნისმის ჩასახრობლად. ესაა კი მოსალოდნელია ბერლინის დაკავება გერმანულ ბურჟუაზიის სურვილით. მსოფლიო თეთრგვარდიელებს მიზნათ აქვთ აგრეთვე გერმანიის დახმარების შემდეგ პროლეტარულ რევოლუციის კერის—საბჭოთა რუსეთის ყელს მიწვდეს, ამიტომ ჩვენ ზავის გულწრფელი მოსურნენი, მზათ უნდა ვიყვეთ შემოტვის უკუსაქცევით."

ზინოვიევის შემდეგ გამოვიდნენ ინგლისელ კომპარტის წარმომადგენელი ნიუბოლდი, საფრანგეთის—დიურე და გერმანიის—გერილე.

პეტროგრადის საბჭომ რურის ამბების გამო გამოსცა ორი მოწოდება: საფრანგეთის პროლეტარიატისადმი და მთელი მსოფლიო მუშათა და ჯარისკაცთა მიმართ.

სხდომის დროს ურაციის სასახლეს პეტროგრადის ყველა რაიონიდან შეკრებილი დემონსტრაციები მოადგა. დემონსტრაციის დღედაციამ, მუშათა, წითელ-არმიელების და პროლეტარულ სტუდენტობის სახელით, გამოსთქვა, რომ ისინი მზად არიან გამოვიდნენ საბჭოთა ხელისუფლების პირველ ძახილზე მუშათა კლასის და რევოლუციის დასაცავად.

პროტესტები ამერიკიდან. მოსკოვი. 5 თებ. ამერიკის მუშათა პარტიასთან ერთად ნიუ-იორკიდან სამრეწველო მუშების კავშირის ცენტრ-

ლურმა საბჭომ საფრანგეთის, ბელგიის და გერმანიის კავშირებში გაგზავნილ დეპუტატში გამოსთქვეს პროტესტი რურის ოკუპაციის გამო.

ფრანკის კურსი და რურის ოკუპაცია. მოსკოვი, 5 თებერ. გაზეთი "ევრა" იტყობინება, რომ რურის სამი კვირის ოკუპაციის განმავლობაში ფრანგული ფრანკი დაეცა 13 პროც. ამის გამო საფრანგეთი ჰკარგავს 200 მილიონ ფრანკს თვეში უცხოეთის საქონლის საფრანგეთში შემოტანის დროს. გაზეთი აღნიშნავს, რომ რურის ოკუპაციამდე საფრანგეთი ყოველდღიურად ღებულობდა 300,000 ტონ ნახშირს, ამ ყაზად კი ნახშირის შემოზიდვა მნიშვნელოვანად შემცირდა.—ფრანგული ფრანკის დაცემა გრძელდება. უცხოეთის ვალიუტის ზრდა კუდათ მოქმედებს საფრანგეთის მრეწველობაზე, რომელსაც ესაჭიროება ნედლი მასალის შემოზიდვა.

რური მოწვევები. მოსკოვი, 5 თებერ. კავშირი რურთან საბოლოოდ შეწყვეტილია. — დანარჩენ გერმანიასა და რურს შორის კავშირის შეწყვეტის გამო რურში დაგროვილია 20,000 ვაგ. ნახშირი და ამ ვაგონებს უჭირავს რურის ზღის ხაზის 200 კოლომეტრი.

რურის იზოლიაცია დანარჩენ გერმანიისაგან ხორციელდება საცესებით. გერმანიაში მიმავალ მატარებლებს აჩერებენ. ინგლისელების ზონაში რურისგზა ნორმალურად მუშაობს.

ნახშირის გამოწვევა. მოსკოვი, 5 თებერ. გერმანიის მთავრობამ მიიღო საფრანგეთის ნოტა, რომელიც იტყობინება, რომ უკვე ძალაში შესულია ბრძანება გერმანიის დაკავებულ ადგილებიდან ნახშირის გატანის აკრძალვის შესახებ.

კუნოს განცხადება. მოსკოვი, 5 თებერ. კუნომ ინტერვიუში განაცხადა: "რურის ოკუპაციისაგან არავის არაფერი არ მოუვია—ყველაზე ნაკლებად მოიგო საფრანგეთმა. საოკუპაციო სამხედრო ხარჯები აღებამტება გერმანიის ვალს საფრანგეთისადმი. საფრანგეთ-ბელგიის არმია მხოლოდ ანგრევს რურს და არაფერს დადებთს არ აქვთებს."

საფრანგეთის პროფკავშირების კონგრესზე. მოსკოვი, 5 თებერ. პარიზში გამართულ პროფკავშირების თათბირზე ლეონ განაცხადა, რომ გერმანიის მუშები ვალდებული იყვნენ გამოეყოფიყვნენ საფრანგეთის იმპერიალიზმის თავდასხმის წინააღმდეგ, ისე როგორც, საფრანგეთის მუშები გამოვიდნენ როგორც "ნამდვილი" ფრანგები, იმ შემთხვევაში, თუ უცხოეთის ჯარები მოინდომებდნენ ჩადილოთ საფრანგეთის მალარობების ხელში ჩაგდებას.

დახმარება გერმანულ რკინისგზებებს. მოსკოვი, 5 თებერ. ჰოლანდიის რკინისგზებებმა გერმანიის რკინისგზებებს რურში გაუგზავნეს 60,000 გულდენი.

რეპრესიები მოხელეების წინააღმდეგ. მოსკოვი, 5 თებერ. მაინციდან მიღებული ცნობით მოკავშირეთა კომისიამ დაითხოვა კიდევ 40 მოხელე, რომელთაც უარი განაცხადეს მისი ბრძანების შესრულებაზე.

გერმანულ სტუდენტების დევნა. მოსკოვი, 5 თებერ. ახენიდან მოკავშირეების საწინააღმდეგო დემონსტრაციისათვის გააძევეს 25 სტუდენტი.

გადასახლება. მანოვერი. 14 თებ. რეინლანდის რწმუნებულს ფუცი საოკუპაციო ხელისუფლებამ გადასახლა მიანის ფრანკ-ფურტში.

ბოიკოტი. მანოვერი. 4 თებ. გერმანიის მსხვილმა სავალენტური ფირმებმა გააუქმეს ყველა მიმდინარე დაკვეთები პარიზის სავაჭრო სახლებთან და გამოიწვიეს თავიანთი წარმომადგენელი საფრანგეთიდან და ბელგიიდან.

არ სცნობს თავის მოსახლეობას. მანოვერი, 4 თებერვალი. ბურგომისტრი იარესი, რომელიც ამას წინად ვასახლებული იყო საოკუპაციო ხელისუფლების მიერ გერმანიის ოკუპაციიდან თავისუფალ ოლქში, დაბრუნდა დიუს-ბურგში თავის მოვალეობის აღსრულებას გასაგრძობად, რადგან ის არ სცნობს თავის ვასახლებას.

შკაღვენ ვანურჩეველად. მანოვერი, 4 თებ. უქანასკენლ დღევანდელ რეინლანდში და რურის ოლქში საოკუპაციო ჯარების მიერ მოკლულია 3 გერმანელი, დაჭრილია 2. ბრეტენში საფრანგეთის დარაჯმა წინასწარ გაუჭრთხილებლად მოკლა სამამდელად ქარხნის მუშა, ესენში ტრამვაზე ორმა აჩრანგმა ჯარისკაცმა, რომლებიც უნდა გადმოიყვანენ ვაგონიდან ბილითის წარუდგენლობის გამო, მოკლეს სრულიად უდანაშაულო მგზავრი და ვაგონის მზღებელი.

სამრეწველო დაბაში, კასტელში, საოკუპაციო არმიის ჯარის კაცმა დაეშუქა რაკოვლებით და შემდეგ კიდევ მოკლა გერმანელი მუშა. ბოხუში ფრანგებმა დასკურეს ორი გერმანელი მოსახლურე, რადგან მათ აუკრძალეს ფრანგების ღვინის გაყიდვა.

საბრალდებელი ოქმების უქონლობა რკინის გზის ვაფიცვის გამო. მანოვერი. 4 თებერვალი. პროცესი, რომელიც დანიშნული იყო 4 თებერვლისათვის მიანცი ქალ. კელნის საფინანსო რწმუნებულის ვასამართლებისათვის, გადაიდო გამოურკვეველ დრომდე, ისევე როგორც სხვა დანარჩენი მზავის პროცესები მოსამსახურეების წინააღმდეგ, იმ მიზეზით, რომ რკინის გზელთა ვაფიცვის გამო შეუძლებელი შეიქნა საბრალდებელი ოქმების თავის დროზე მიწოდება.

ჩარევის ახალი ცდა. მანოვერი. 3 თებ. ესნიდან იტყობინებიან, რომ ფრანგები კვლავ ცდილობენ მაიარობების შინაურ საქმეებში ჩარევის კომისრებს, რომელთაც სურდათ მოლაპარაკების გამართვა უშუალოდ ცალკე მაიარობებთან აუკრძალეს მაიარობების ცეხში შესვლა მიულერის მაიარობებიდან, სადაც კომისრებმა მოასწრეს შესვლა, ვაფიცვის ინიჩა ძალით.

საკვანძო ხადგურის დაკავება. მანოვერი. 3 თებ. საფრანგეც ის გენერალის ბრძანებით, 2 თებერვალს ელბურელდის საკვანძო ხადგური დაკავებულ იქნა ქვეითა ბათალიონის და კავალერიის ესკადრონის მიერ.

რკინის გზელების მოთხოვლინებანი. მანოვერი 3 თებერვალი. მაინციში და კელნში რკინის გზელებმა, მიიღეს რა ვრანგებისადმი წარდგენილ მოთხოვნების დაკმაყოფილება, დაიწყეს მუშაობა, მაგრამ აცხადებენ, რომ არ სურთ ფრანგებთან ერთად მუშაობა.

ნახშირს არავის არ აძლევენ. მანოვერი 3 თებერვალი. საფრანგეთის საკანტროლო კომისიის მიერ რურის ოლქში შეჩერებულია ნახშირის მიწოდება ჰოლანდიის და შვეიცარიისათვის. აგრეთვე შეწყვიტა იტალიისათვის საკონტრიბუტო მიწოდების წარმოება.

გოდ დამთავრდა, ვინაიდან გერმანიის რკინის გზელებმა მოითხოვეს, რომ არც ერთი "სანქცია" არ ყოფილიყო მიღებული საფრანგეთის ხელისუფლებმა უპასუხეს, რომ არ შეუძლიათ დაუსჯელად დატოვონ საბოტაჟის გამომწვევენი.

კენისბერგში. პარიზი. 3 თებერვალი გუშინდელ მანიუესტაციების დროს ჩამტერიეს საფრანგეთის საელჩოს ბინის მიწები.

ანტანტის კომისიის წინააღმდეგ. მანოვერი. 3 თებერვალი მიანის ფრანკ-

კურტში გაიმართა დემონსტრაციები ანტანტის კომისიის წინააღმდეგ. ფრანკ-კურტიდან იტყობინებენ, რომ საფრანგეთის მოსახლეობამ სტოვენს ოკუპაცია ქმნილ ოლქს.

სახელმწიფო ლაღაცა. მანოვერი. 3 თებერვალი ლენანბერგის საბაჟოს ინსპექტორის იანსონის წინააღმდეგ, რომელიც თანხმობა განაცხადა საოკუპაციო ხელისუფლებისთვის დამორჩილებაზე, აღწოულ...ა ბრალდება სახელმწიფოს ლაღაცაში.

ლოზანას კონფერენცია. ოსმალეთის პასუხის მოლოდინში რომი 5 თებ. ლოზანაში კომისიების სხდომები შემდეგში არ მომხდარა, ვინაიდან ოსმალეთის დელეგაციისაგან მოვლიან პასუხს ხელშეკრულების პროექტზე, რომელიც წარმოდგენილია მოკავშირეების მიერ. გრძელდება დიდი ინტენსიური მუშაობა, რომელიც მიმართულია უთანხმოების მოსპობის და საკითხის სასურველად გადაჭრისათვის ნიადავის მოზადებისაკენ.

იტალიის დელეგატები მხარს უჭერენ მქიდრო კონტაქტს ოსმალეთთან სხვა და სხვა საკითხებში მორიგებითი ვაგუნის მოხდენის მიზნით.

ერთა ლიგა. რომი. 5 თებ. ერთა ლიგის საბჭომ მოიწონა ლანსენის მოხსენება რუსეთის ლტოლვილების მუარველობის და აგრეთვე სომხეთის ლტოლვილების მუარველობის საერთაშორისო კომისიის შესახებ.

ოსმალეთი და საფრანგეთი. მოსკოვი. 5 თებერვალი. ამტკიცებდენ, რომ ისმეტ-ფიშას სახელზე ვაგზანდელ ნოტაში პუანკარემ აღუთქვა ოსმალეთს მხარი დაუჭიროს მოსულის სრუტეების და ზოგირთ სხვა საკითხებში. იმ პირობით, თუ საფრანგეთს მიეცემა კომერციული პრივილეგიები.

საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერა. მოსკოვი. 5 თებერვალი. თუმცა ლონდონში, გაერკელდა მბები, რომ თითქოს ოსმალეთის მთავრობამ წინადადება მისცა ისმეტ-ფიშას ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას, ზოგირთ ცვლილებათა შეტანის შემდეგ, ვაგეთების უმრავლესობა სკეპტიკურად უჭერია ხელშეკრულების ხელის მოწერას სეროზულ მდგომარეობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ამ ყაზად ლაპარაკობენ ინგლისის მომავალ საგარეო პოლიტიკის შესახებ იმ შემთხვევაში თუ ანტანტში განხეთქილება მოხდა. ფიქრობენ, რომ ინგლისი დაუბრუნდება თავის ძველ მმართველობას პოლიტიკას ევროპის მიმართ და ეცდება ეკონომიური და პოლიტიკური კავშირი დაიჭიროს ამერიკასთან. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ინგლისი ჩქარა დასთანხმდა ამერიკის პირობებზე ვალეზის დაფარვის შესახებ.

ლოზანას კონფერენცია. მოსკოვი 5 თებერვალი ვაზ. "ტანის" კორესპონდენტთან საუბროს დროს ჩიჩერინმა განაცხადა, რომ ლოზანას კონფერენციამ ვერ მიიღწია შედეგებს იმიტომ, რომ მოკავშირეები ძველ მეთოდებს ხმარობენ ახალი ოსმალეთის მიმართ და აგრეთვე სცილიობენ რუსეთს წაართვან მისი ბუნებრივი უფლებები, მოკავშირეების პოლიტიკა ლოზანაში ვაგუნას მოახდინს რუსეთის ხალხთა მასებზე, რომელიც ვაფაცქებით ადევნებენ თვალყურს საზღვარ-გარეთის პოლიტიკის საკითხებს.

კონფერენციის ხელი. მოსკოვი 5 თებერვალი. ლოზანას კონფერენციაზე მდგომარეობა გამოურკვეველია. არავინ არ იცის ვაიმართება თუ არა ახალი სხდომა კვირამდე უნდა ვაგრძელებულყოფი არაოფიციალური მოლაპარაკება. 2 თებერვლის სხდომამ ვამოაყარა კონფერენციის მომწვევე სახელმწიფოების დახმელობა და განამტკიცა ოსმალეთის პოზიცია. რურის ოკუპაციის საქმეებში ჩაბმული საფრანგეთი, რომლის ვარშემო შემოიკრიბენ იტალია და ბალკანეთის სახელმწიფოები. საბერძნეთის ვარშე, იღებს ყოველგვარ ზომებს იმისთვის რომ არ ჩარიონ ახლო-აღმოსავლეთის ომში.

ვაზეთ "ტანის" წერილიდან. მოსკოვი 5 თებერვალი. საფრანგეთის საგარეო საქმეთა სამინისტროს ორგანო "ტან" სწერს ანგორიდან, ლონდონიდან და ლოზანიდან მოსულნი ცნობები აღმოსავლეთში ახალი ომის დაწყებას გვიქაძის. ჩვენ ყოველივე ზომას უნდა ვიხმაროთ, რომ მოსალოდნელი განხეთქილება და ურთიერთ შეწყვეტა თავიდან აცილებული იქნეს ოსმალეთისა და საფრანგეთის შორის არ მოიპოვება ერთიც ისეთი სადაო საკითხი, რომელის მშვიდობიანად გადაწყვეტა არ შეიძლებოდა.

საბერძნეთის საომარი მოქმედება. მოსკოვი. 5 თებ. ალბანეთის მთიელობამ ლოზანას კონფერენციის მიმართა საპროტესტო ნოტით ალბანეთის სახელმწიფო გერმანულ ჯარების კონცენტრაციის გამო: ბერძნული პრესა ხმებს აგრეთვე თითქოს ალბანეთში იფეთქა აჯანყებამ, რომ ამით საბაბი იშოვოს ალბანეთის შინაურ საქმეებში ჩასარევა.

გერმანიის რუპარაციების მიღების შესახებ და რომ საფრანგეთს მოეღის დიდი ზარალი.

გელსინფორსში მოწვეულია ბალტიის განაპირა სახელმწიფოების ეკონომიური კონფერენცია, რომელზედაც გამოიმუშავებულ იქნება საპროტესტო ნოტა საფრანგეთის წინააღმდეგ, ნოტაში აღნიშნული იქნება, რომ გერმანიას თანამედროვე პირობებში არ შეუძლია შეასრულოს თავისი ვალდებულებანი და რომ საჭიროა ვადისინჯვა საკითხის გერმანიის ვადახდის უნარის შეხახებ.

დეპუტატი კრულიკოვსკი. მოსკოვი. 5 თებ. პოლონეთის სეიმის დეპუტატი კომუნისტი კრულიკოვსკი სეიმის დადგენილებით განათავისუფლებულია ლგოვის ციხიდან.

ლოზანას კონფერენცია

ოსმალეთის პასუხის მოლოდინში

რომი 5 თებ. ლოზანაში კომისიების სხდომები შემდეგში არ მომხდარა, ვინაიდან ოსმალეთის დელეგაციისაგან მოვლიან პასუხს ხელშეკრულების პროექტზე, რომელიც წარმოდგენილია მოკავშირეების მიერ. გრძელდება დიდი ინტენსიური მუშაობა, რომელიც მიმართულია უთანხმოების მოსპობის და საკითხის სასურველად გადაჭრისათვის ნიადავის მოზადებისაკენ.

იტალიის დელეგატები მხარს უჭერენ მქიდრო კონტაქტს ოსმალეთთან სხვა და სხვა საკითხებში მორიგებითი ვაგუნის მოხდენის მიზნით.

ერთა ლიგა. რომი. 5 თებ. ერთა ლიგის საბჭომ მოიწონა ლანსენის მოხსენება რუსეთის ლტოლვილების მუარველობის და აგრეთვე სომხეთის ლტოლვილების მუარველობის საერთაშორისო კომისიის შესახებ.

ოსმალეთი და საფრანგეთი. მოსკოვი. 5 თებერვალი. ამტკიცებდენ, რომ ისმეტ-ფიშას სახელზე ვაგზანდელ ნოტაში პუანკარემ აღუთქვა ოსმალეთს მხარი დაუჭიროს მოსულის სრუტეების და ზოგირთ სხვა საკითხებში. იმ პირობით, თუ საფრანგეთს მიეცემა კომერციული პრივილეგიები.

საზავო ხელშეკრულების ხელის მოწერა. მოსკოვი. 5 თებერვალი. თუმცა ლონდონში, გაერკელდა მბები, რომ თითქოს ოსმალეთის მთავრობამ წინადადება მისცა ისმეტ-ფიშას ხელი მოაწეროს ხელშეკრულებას, ზოგირთ ცვლილებათა შეტანის შემდეგ, ვაგეთების უმრავლესობა სკეპტიკურად უჭერია ხელშეკრულების ხელის მოწერას სეროზულ მდგომარეობას ადასტურებს ის ფაქტი, რომ ამ ყაზად ლაპარაკობენ ინგლისის მომავალ საგარეო პოლიტიკის შესახებ იმ შემთხვევაში თუ ანტანტში განხეთქილება მოხდა. ფიქრობენ, რომ ინგლისი დაუბრუნდება თავის ძველ მმართველობას პოლიტიკურ კავშირი დაიჭიროს ამერიკასთან. ამით აიხსნება ის ფაქტი, რომ ინგლისი ჩქარა დასთანხმდა ამერიკის პირობებზე ვალეზის დაფარვის შესახებ.

უ ც ზ ღ ე თ ი

რეპარაციები

მოსკოვი. 5 თებ. "ტანი" ვადაჭრით პროტესტს აცხადებს სარეპარაციო შესაკითხის ერთა ლიგის მიერ ვანხილვის წინააღმდეგ. თუ ლიგა, ამბობს ვაგეთი, ჩაერევა ამ საქმეში, ის მიანც ვერ შესძლებს ამ საკითხის გადაჭრას. გერმანიის მთავრობამ ვაგზანვა პარიზში საპროტესტო ნოტა სარეპარაციო კომისიის დადგენილების წინააღმდეგ გერმანიის მიერ ვალდებულებათა შეუსრულებლობის შესახებ. ნოტა აღნიშნავს, რომ ვერსალის ხელშეკრულება დაარღვია არა გერმანიამ, არამედ საფრანგეთმა.

ბონარ ლოუს მდივანმა, ინგლისის პარლამენტის წევრმა ლევიტსონმა პარლამენტში განაცხადა, რომ რურის ოკუპაცია აქარწყლებს ყოველგვარ იმედებს

